**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის**

**ოქმი № 3**

ქ. თერჯოლა 06.08. 2024 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1.შალვა ჭანკვეტაძე, 2. ლაშა გურგენიძე, 3. იზა მაგრაქველიძე, 4. ნინო მახათაძე, 5. დავით გოგბერაშვილი, 6. ბადრი ბუცხრიკიძე, 7. დავით ცხადაძე, 8. ტარიელ ფანჩულიძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1 . ელისო მურადაშვილი, 2. კობა კირკიტაძე, 3. კახა ბუცხრიკიძე

**კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8**
**კვორუმი: 6 წევრი**

**დღის წესრიგი:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცება(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824214112, 01.08.2024 წ.);

   მომხს.: შ.ჭანკვეტაძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დასმტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2824214112, 01.08.2024 წ).

   მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0**

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნოთერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლაინობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარით. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

**აზრი გამოთქვეს:** ლაშა გურგენიძემ, იზა მაგრაქველიძემ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცება.

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემშალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამაში გაუქმდა კრიტერიუმი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები (შეიქმნა ახალი პროგრამა), შესაბამისად შემცირდა პროგრამის ბიუჯეტისც 4500 ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დასმტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ29.292401016 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე

შალვა ჭანკვეტაძე